თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3710984

ნომერი: AR1555793

თარიღი : 08.11.2017

გაცემის თარიღი : 30.11.2017

გაცნობის თარიღი : 30.11.2017

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა კოსტავა , N 80-82/2 , საბურთალოს ქუჩა N4, N6 , (ნაკვეთი N28/37) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გივი სეთურიძე პ/ნ 01024002509
- თბილისი, საბურთალოს #2

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017 წლის 8 ნოემბრის №AR1555793 განაცხადით მომართა გივი სეთურიძემ და მოითხოვა, ამავე სამსახურის 2015 წლის 22 სექტემბრის №2199621 ბრძანებაში ცვლილების შეტანა, კერძოდ პარკინგების მოწყობის ვადის გაგრძელება 2017 წლის 22 დეკემბრის ნაცვლად 2019 წლის 22 სექტემბრამდე.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 22 სექტემბრის №2199621 ბრძანებით შეთანხმდა: ქ. თბილისში, კოსტავას ქუჩის N80-82/2-ში, საბურთალოს ქუჩის N4-სა და N6-ში, თანასაკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთზე ს/კ: N01.10.13.028.037, მრავალფუნქციური შენობა-ნაგებობის (საცხოვრებელი, კომერციული) კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2015 წლის 22 სექტემბრიდან 2019 წლის 22 სექტემბრის ჩათვლით.
ზემოაღნიშნული ბრძანებით დამკვეთს დაევალა 2014 წლის 13 ივნისის #1314772 ბრძანების გაცემიდან 3 (სამი) წლის განმავლობაში (2017 წლის 22 დეკემბრამდე) წარმოდგენილი პროექტით გათვალისწინებული ბინების რაოდენობის შესაბამისად, ალტერნატიულ ახლო მდებარე ადგილას პარკინგების მოწყობის უზრუნველყოფა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასთან შეთანხმებით.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
სამსახურმა განიხილა 2017 წლის 8 ნოემბრის №AR1555793 განცხადება და 2015 წლის 22 სექტემბრის #2199621 (პირობადადებული) ბრძანებით გათვალისწინებული პარკინგების მოწყობის ვადის (2017 წლის 22 დეკემბრამდე) გაზრდა 2019 წლის 22 სექტემბრამდე, არ მიიჩნია მიზანშეწონილად. შესაბამისად, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა.
წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.